





საღამოში:

დ. ა. ზედაპანიშვილი — შინაგანი და ზეგეგმვისა — 5-6 საათ.
ი. ნ. თუშანიშვილი — დედათა სწავლებანი — 5-6 საათ.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი — მორიგებით.
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სასჯო საგანგებო, № 21 (კახანდავის ქუჩის პირდაპირ).

მ ქ ი მ ი

კ. ი. გელიშვილი

მ ი ი ლ ე ბ ს
ჟელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფებს.
დილ. 9-11 ს., საღამოზე 5-7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემენცების ვაკის სიბრტყეში. Михайловская, противъ вѣрки. (100-31-87)

ახალი ამბავი

\* ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი კრება ორშაბათს, 31 იანვარს, მოხდება.
\* კავკასიის რკინის გზის მართვლობას გარდაუწყვეტია ქ. ფოთის რკინის გზის სადგურთან შავიქვრის (მარგანეცი) საწყობების გამართვა. ამისათვის განზრახულია დაშრონ ფოთის ახლო მდებარე ქაობი ამომიწვინო. ქაობის დასაშრობად გამგეობას გადაუღვია 25,000 მანეთი.
\* სამშაბათს, 1 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის საიმ-

პერატორი სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია საუბარი, რომლის დროსაც კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარე წაიკითხავს მოხსენებას იმის შესახებ, — როგორ უნდა იქმნას მოწყობილი კავკასიაში სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა სამაზანდო ცნობების მოკრების საქმე.

\* როგორც ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის ანგარიშიდანა სჩანს, წასულს 1899 წლის განმავლობაში ამ გზას შემოსავალი ჰქონია 21,098,000 მან. ხარჯი კი 11,127,000 მან. ასე რომ წმინდა შემოსავალი დარჩენია 10,000,000 მან.

\* ტფილისის საბოტანიკო ბაღში საბოლოონო სკოლის შენობის აგებას შეუდგნენ. ამ სკოლაში უმთავრესად მებაღეთა და მუშებს მოამზადებენ.

\* ტფილისის სააბრეშუმო სადგურში მებაღე შემთავა მრავალი თესლი წარუდგინათ გამოსაკვლევადასულ 200 ათასი კოლოფია წარდგენილი.

\* როგორც გალსკესა და სიმენის ფირმის მიერ ქალაქის გამგეობაში წარდგენილ ანგარიშიდანა სჩანს, ქ. ტფილისის ელექტრონით განათება გამგეობას დაუჯდება სულ 370,000 მანეთამდის. ფირმა თანახმაა, გამგეობამ ეს ფულები ათის წლის განმავლობაში გარდაუხადოს. სიმენისა და გალსკის ფირმის პირობები, ანგარიში და პროექტი გამგეობას გარდაუცია ტექნიკოსთა განსაკუთრებულ კომისიისათვის, რომელმაც ამ საქმის შესახებ თავისი მოხსენება გამგეობას 8 თებერვლამდის უნდა წარუდგინოს.

\* ტფილისის პოლიციის მეოთხე ნაწილის პოქაულობა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის ცენტრის მქრობელ რაზმის სადგომი ზოგან ძალიან დაზიანდა და ამ შემთხვევაში შეკეთება სჭირია. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: რადგანაც ამ საგნის შესახებ ლაპარაკი უკვე იყო აღძრული და საბჭომ ამ შენობის შეკეთება საჭიროდ არა სცნო, ეთხოვოს ტფილისის პოლიციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს, განკარგულება მოახდინოს, რომ ცენტრის მქრობელ რაზმისათვის დროებითი სადგომი იქმნას დაქირავებული, რისთვისაც გამგეობის მიერ 3000 მანეთი არის გადაღებული წესს, და მიენდოს გამგეობის წევრს თავი ჩერქეზიშვილს წარუდგინოს გამგეობას თავისი მოხსენება ახალის სადგომის აგების შესახებ.

\* ქალაქის გამგეობას უთხოვინია ცხენის რკინის გზის საზოგადოებისათვის დაუყვანებლივ შეუდგეს ქუჩების იმ ადგილების შეკეთებას, სადაც ამ რკინის გზის ლიანდაგია გადაშლილი, რადგანაც ეს ადგილები ისეა დაღარული და გაფუჭებული, რომ ეტლებს სიარული უჭირთ.

\* ხუთშაბათს, 27 იანვარს, ვერაზედ სრულიად შემთხვევით ერთი შემადარწუნებელი მკვლელობა აღმოაჩინეს. ოქროსქვის მთის ძირში, სომხების სასაფლაოს იქით, ი. სვიმონოვის მამულში სცხოვრებდა თურმე მიხეილ სვიმონოვი თავისის ცოლით ეფროსინით. სვიმონოვი დაქორწინებამდე რკინის გზის აგებდა იყო. ეფროსინეც იქვე ტელეგრაფისტად მსახურებდა. ორის წლის ერთად ცხოვრების შემდეგ სვიმონოვს ეფროსინეზედ ჯვარი დაუწერია. ამ რამდენისამე წლის წინად რაღაც მიზეზით სამსახურისთვის თავი დაუწებებიათ. უკანასკნელ

სანს ცოლ-ქმარნი ძალიან სიღარიბეში ჩაცვივებულან; თავს იმითილად იჩინდნენ თურმე, რომ ზაფხულობით სააგურე ქარხანას იჯარით იღებდნენ და აგურებსა ჰყიდდნენ. ქოზი, რომელშიაც სვიმონოვი სცხოვრობდა, მიწაში ჩამძვარი და მეტად ღარიბულად არის მოწყობილი.

27 იანვარს სვიმონოვის სახლში მისულან ნათესავები და კარები გარედგან გადაზახული დახვედრით; გაუღიათ კარები და იატაკზედ მოკლულის ეფროსინეს გვაში უნახავთ, ნათესავებს მაშინვე პოლიციისათვის შეუტყობინებიათ. როგორც აღმოჩნდა, ქალი ვიღაცას თოკით დაუხვია. სახლში უნახავთ დახოცილი ქათმები, აგრეთვე მკვდარი თავი, ხაფანგში. ეტყობა ესენი შიმშილისაგან დახოცილან. ამიტომ ჰუქრობენ, რომ ქალი 7-8 დღის დამღვარი უნდა იყოსო. იქვე უნახავთ სახელმწიფო ბანკის შემნახველ კასის წიგნი, რომლითაც ეფროსინე სვიმონოვისას 120 მინეთი ჰქონია შენახული, მაგრამ ამ ფულიდგან მხოლოდ 1 მ. 20 კაპ.-ლა დარჩენილა გამოსატანი. წაუღიათ სახლიდან საბანი, ლეიბი, მაგრამ უფრო ძვირფასი ნივთებისთვის-კი ხელი არ უხლიათ; ამიტომ ჰუქრობენ, რომ მკვლელობა ქურდობისათვის არ ჩაუდნიათ. როგორც ნათესავებსა და ნაცნობებს განუცხადებიათ, ბოლოს ცოლ-ქმარნი ცუდ განწყობილებაში ყოფილან, ხშირად ჩხუბობდნენ თურმე, ამასთან ქმარი მიხეილ სვიმონოვი საღდაც დამალულა, ყველა ამის გამო ეჭვი თვით ქმარზედვე მიიტანეს. მოკლულის ქალის გვაში მიხეილის საანატომიო განყოფილებაში გაჰზავნეს, ხოლო მკვლელის ძებნას გულ-მოდგინედ შეუდგნენ.

\* რეაქციამ მიიღო წასული წლის მე-XI ნომერი აგვისტო-სექტემბრის

დასა. შინაგანი და ზეგეგმვისა: 1, ზეგეგმვისა; 2, შინაგანი, დრამატული პოემა, — სეკ. განხილვისა; 3, შინაგანი, კონტრასტული და აურადიული ცნობების შესაკრებად — ად. სასანაშვილის; 4, საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი — მოსკოვისა; 5, კერძობის მებაღეობა — ს. ქვარაჩიას. მეორე განყოფილება: 1, სოფ. ბოსტანის წამოღ. მდ. ად. ბამბისაგან; 2, იტალიის სასწრაო, ზღაპარი და ხალხური ლექსები, — წამ. თ. ა. შინაშ. ლის მიერ; 3, თუშური ლექსები — შერ. ივ. ბუჭუჭუაშვილის მიერ.

\* თუქუქში მიდგან იწყებიათ, რომ ჰქ დიდი თაყვისაგან ამ ზამთარში ბუქში ცხვარი დაიღუპა.

\* ტფილისში 15-22 იანვარს დას. გადამდების სენით აჯად გამსდარსულ 32 კაცი; ჰქედგან უჯვადლოთ გზსდარა აჯად 6 კაცი, წითელათი — 7, უეღვადრებთ 17, ქუთრუშთ 1 და სააფლეთა 1. ამათგან აჩავინ გარდაცვლილან.

\* ქ. ტფილისის შალიცევისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა შეტყობინა ქალაქის მთავარს, რომ ქალაქის საჯარო-სამეურნეო შალიცევის აგენტები ძალიან სუსტად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებასა. იმას მაგარ, რომ გაჭრები რამე დასაშუალებას. თავის შესახებ კვამი მისცენ, ისინი მხოლოდ აფრთხილებენ მათათ.

წვერილ მანდი IX

ცხოვრების სარკე. პიესების კრებული. სასოვრად ქართული სამუდამო სცენის ოცის წლის არსებობისა. გამოცემული ი. იმედ-შვილის მიერ.

სწორედ რომ სავიკრელოსა და უცნაურს მოვლენას წარმოადგენს

საგან ასე ძვირად ისესხა? არა, ბატონო, აქ რაღაც სხვა მიზეზია, რადგან ექვს პროცენტად-კი არა, სამად და კიდევ უფრო ნაკლებადაც რომ მიეცა მთავრობას ფული გლენობისათვის, მაინც ეგ ამბავი მოხდებოდა. აკი მთავრობა, როგორც თვით ბ-ნი ა. ფრონელი ამბობს, შემდეგ გამოცემულ კანონებით უნახვერებს და უმესამედებს კიდევ გადასახადს, მაგრამ თითონვე ბ-ნი ა. ფრონელს არა სჯერა, რომ გლენმა მაინც შესძლოს ვალის გადახდა. გამოდის, რომ სარგებლის სიდიდეს-სიმცირეზე-კი არა ყოფილა დამოკიდებული საქმე, არამედ ქართლ-კახეთის გლენობა სრულიად უღონო ყოფილა თავისის გარჯით საკუთრების შექმნისა, თუნდ მთავრობის დახმარებითაც-კი. საკვირველია, ღმერთმანი! ერთის მხრით იმერეთის გლენობა სრულიად არ სარგებლობს მთავრობის დახმარებით, თვითონ ჰმოულობს ფულს და იხსნის თავს მებატონისაგან \*), ხდებდა თავისუფალი მემამულე, როგორც ბ-ნი ა. ფრონელი ამბობს, და მეორეს მხრით ქართლ-კახეთის გლენობა ან სულ არ დაეძებს თავის დახსნას, ან თუ დაეძებს და ჰბედავს, იღებს მთავრობისაგან დახმარებას და მაინც ვერ უძღვება ამ საქმეს, ვალს

ვედარ იხდის და სრულიად ეცემა. ერთის მხრით იმერეთი პირველი მაგალითია (მთელს რუსეთში) იმისი, რომ გლენ-კაცობას ხელი არ გაეწვდინოს მთავრობისათვის საწველად და დასახმარებლად" ბ-ნი ა. ფრონელის სიტყვით და მეორეს მხრით "ტფილისის გუბერნია არამც თუ უკან არ ჩამორჩა დავალიანებით შიდა გუბერნიებს, არამედ წინაც გაუსწრო და შეგვიძლიან პირველობა დაულოცოთ მთელს თვალგაღმწვდენელს რუსეთის იმპერიაში" მისივე სიტყვით. რატომ მოხდა ეს ამბავი? აი, საკითხი, რომლის გამოკვლევაც უპირველეს საქმედ უნდა მიჩნდეს ჩვენს პუბლიცისტებს, მაგრამ, სამწუხაროდ არავინ თავს არ იწუხებს ამისათვის. ჩემის აზრით კი დიდ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს მთელ ქართლ-კახეთის ინტელიგენციას ამ საგნის ასე უყურადღებოდ მიტოვება. მაგრამ ვაი თუ ცოტათოდნი ბრალი, რომ ქართლ-კახეთის გლენობა ასე ჩამორჩა იმერეთისას, თვით ამ ინტელიგენციას ედებოდეს!.. ამ რამდენისამე წლის წინად შემხვდა ზოგიერთ ქართლის სოფელში მისვლა და, როცა გამოვაცხადე ჩემი განკვირვება იმის შესახებ, რომ გლენობა თითქმის ისევ ისე მონაა მებატონეებისა, რადგან ყოველნაირად მათგან არის დამოკიდებული, და ვიკითხე, რატომ არა სცდილობენ თავი დაიხსნან-მეთქი, მითხრეს და

მითხრეს სწორედ ინტელიგენტებმა, არ არის ხელ-საყრელი თავის დახსნა და იმეტომ არ იხსნიანო, ახლა უფრო ცოტას იხდიან ბატონის სასარგებლოდ, ვიდრე ფულის სარგებელი იქმნებოდა, რომ მთავრობისაგან, ან კერძოდ, ესესხათ თავის დასახსნელად. შეიძლება ქონებრივად არ არის ხელ-საყრელი, მაგრამ სხვებზე ნუ თუ არ უნდა ვიღონოთ რამე, რომ ეს ანორმალური მოვლენა — დროებით ვალდებულობა, რომელიც იმავე ყმობასა და მონობას წარმოადგენს, აღარ იყოს მეთქი? ჩვენ რა უნდა ვიღონოთ, თითონ უნდა მთავრობამ უსასყიდლოდ დაუფრგოს გლენობას, რაც მიწა აქვს მიზომილით, სთქვენ სწორედ ისე, როგორც ამბობს ამ ჟამად ერთი წარმომადგენელი ქართლ-კახეთის ინტელიგენციისა, ბ-ნი ა. ფრონელი. იმ დროს, როდესაც მე ქართლში ვიყავი, მოხდა მკვლელობა თ. ნიკოლაისამდისა ბრილში მხოლოდ იმეტომ, რომ ბრილელი გლენები თავდაუხსნდნენ არიან და ყოველ ნაწილად დამოკიდებულნი მებატონისაგან, რადგან სიტყვამ მოიტანა, არ შეიძლიან არ ვუამბო მკითხველს ამ მკვლელობის გარემოება, რომელზედაც ბევრი სიმაართლეს მოკლებული აზრი ტრიალებდა როგორც საზოგადოებასა, ისე თვით მწერლობაშიაც. მე სრულიად არა მაქვს სახეში თ. დიასამიძის გამაზრდეა, მაგრამ რო-

გორც მებატონე, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა და დარწმუნებული ვარ ბევრი სხვანიც დამემოწმებია, რომ ბევრ სხვა ქართულ მებატონეებზედ, თუ უკეთესი არა, უარესი არა ყოფილა. მე რატომ სხვებს არა ჰხოცავენ და თ. დიასამიძე კი მოკლესო? მკითხველს ვთხოვ, რომ თ. დიასამიძემ პირველად თითონვე გაუპართა ხელი გლენობას, რომ მკირედაც არის ცნობიერებაში მოყვანა, ხოლო, როდესაც მოინდომა თავისს უფლებებით ესარგებლნა, გლენები, რომელნიც არ იყვნენ ისე დაბეჯითებულნი, როგორც სხვანა, წინა აღუდგნენ. მოხდა სწორედ ის, რაც ხშირად ხდება და მის ერთ საუცხოვო მაგალითსაც კი წარმოადგენს დღევანდელი ომი ანგლისსა და ტრანსვალს შუა. თ. დიასამიძემ ჯერ ბევრნაირი შეღავათი მისცა ბრილელ გლენებს, ხოლო როდესაც თვით დასახლდა ბრილში და მოინდომა თავისუფლებით სარგებლობა, ბრილელი აღარ დაემორჩილნენ. რა უფლებითა? იკითხავთ. ახლავ მოგახსენებთ. კანონი ნებას აძლევს მებატონეს გამოიჯენის დროს ჩამოართვას გლენებს წინად მათს მფლობელობაში მყოფი მიწები და მათ მაგიერად სხვან მიზომის მათი საღირალი ადგილები. თ. დიასამიძემაც მოისურვა ამ კანონით სარგებლობა და რადგან სწორედ

მის სამოსახლოს გარემოში ჰქონდათ მიზომილი გლენებს მიწები, ისე რომ წყაროზედაც-კი მისასვლელი გზა არა ჰქონდა, ჩამოართვა რამოდენსამეს მათგანს ისინი და სხვან დაფასების კვალობაზედ მიუზომა, ჩემის აზრით, თვით გლენობისთვისაც სასარგებლო უნდა ყოფილიყო ეს, რადგან რაკი თ. დიასამიძე ბრილში დასახლდა, თვით მათი ინტერესები მოითხოვდა, მომორბოდნენ მის კარ-მიდამოს და არცის შეეწუხებინათ თავისს ახლოს ყოფნით, არც თვითონ შეწუხებულობენ. ამა რა სასამოვნოა, წვირილფების გაშვებაც კი არ შეეძლოს მეოჯახეს თავისუფლად და ბრილელი კი სწორედ შევიწროებულ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მათ წვირილფებს სხვა ადგილი არა ჰქონდა, თუ არ თ. დიასამიძეს კარ-მიდამო და ეზო-ბოსტანი. ვინ ამბობს, კარგი იქმნებოდა, რომ თ. დიასამიძე ბრილში არ დასახლებულიყო და ბრილელის თავისუფლებას არ შეეებოდა, მაგრამ რაკი ასე მოხდა, ბრილელი უნდა შერიგებოდნენ ამ გარემოებას. სამწუხაროდ, ისინი ვერ შეთანხმდნენ თ. დიასამიძესთან, დაუჯერეს ზოგიერთ თავზედ ხელაღებულ ვაჭაბატონებს, რომელნიც ყოველთვის და ყოველგან იმასა სცილობენ, რაც შეიძლება, მეტად ამდგომიონ წყალ-, რომ თვით ისა-

\*) იმერეთში საკომლოს შესყიდვას და დროებით ვალდებულებისაგან განთავისუფლებას თავის დახსნას ეძახიან.





წინების ბეჭდვა ჩვენში: ვისთვისაც  
 ღმერთს ორივე ხელით მიუხეობია  
 შეტყობა და ცოდნაც, არაფერს  
 ვერც კარგავს; და ვისაც ერთიც ნაკლებ  
 ბაღ აქვს და მეორეც—შედარებით  
 მოკლებულია, — შეძლებისა დაკვალად  
 ვერ მოიპოვებს, და რომ დაუკვირდეთ,  
 ვაძლევთ მეტსა სძენენ ჩვენს და-  
 რისს მწირობას, ვიდრე პირველი.  
 მიზეზები ამ მოკლებულობის სხვადა-  
 სხვადაა, ჩვენ მარტო ფაქტის დადგე-  
 ნა გვინდობდა და სხვა არაფერი. და  
 ფაქტი-კი სანუგეშოს არას წარმოად-  
 გენს: წიგნების მბეჭდვაში ამხანაგობა  
 „მოამბეს“ მოუღდა და მას შემდეგ,  
 რაც ქუჩისაღს შეუდგა, კალენდარიც  
 აღარ გამოუცადა მგონი. ქუთათური  
 ამხანაგობა მამია გურიელის ლექსებს  
 გადაჰყვია...  
 ერთსაცა და მეორესაც ცოდნაც  
 სანამისი ჰქონდა და აქვს, შეძლე-  
 ბაც, რომ ჩვენს მკითხველს საზოგადო-  
 ბების საჭირო საზრდო მიწოდონ,  
 მაგრამ კარგა ხანია იღარას ჰბეჭდვა-  
 ვენ—იქნება იმიტომ, რომ საზოგადო-  
 ბების წინ გაძლიერდა ვერ მოახერ-  
 ხეს, და უკან მიუვალა-კი ითაკლეს.  
 ასეა თუ ისე წიგნების ბეჭდვა ორი-  
 ვე ამხანაგობამ უარ-ჰყო ჯერ-ჯერო-  
 ბით და კარგო კაცნი სცდილობენ  
 ამ ნაკლის შეგებებს. აქამდე ზ. ქ-  
 კინაძე სცდილობდა და გამოსა-  
 ცემად არჩეულ წიგნების შე-  
 რჩევა რომ მოეხერხებინა, სამაგა-  
 ლითა და დაუფიქრებლად ღვაწლს  
 დასდებდა ჩვენს მწირობას. ახლა  
 მეორე გამოდის ასპარეზზე, ბ-ნი  
 ი. იმედაშვილი. იმის „ცხოვრების  
 საკვს“ ნუშერი მეცამეტე აზის  
 და ჩვენს პრესასა-კი სხენებაც  
 არა ყოფილა მისგან დაბეჭდილ წი-  
 გნების ავ-კარგაიანობის გამო. \*) ცო-  
 ტა რომ გაეფრთხილებინათ, იქნება

\*) ამ წიგნის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა  
 სახილავი წერილი, დაბეჭდილი (იხ.  
 „იბერიკა“ 1899 წ. № 218).  
 რგებლონ და ბლომად დაიჭირონ  
 თვეები, და დაუწყეს ბრძოლა. ას-  
 ტყდა ამ ნაირად დავა-საჩივარი მე-  
 ბატონესა და გლეხებს შორის, რო-  
 მელიც ვაგრძელდა დიდხან და ძვი-  
 რად დაუჯდა გლეხობას, რადგან თ.  
 დიასამიძეს არაფრად უჯდებოდა სა-  
 მისი გაძლიერება, ხოლო გლეხების-  
 თვის-კი ეს მეტად მძიმე ტვირთი  
 იყო. სანი წაქეზებულნი მელა-ძუ-  
 ადოკატ-აბლაკატებისაგან, ჰყიდდენ  
 ახალაფერს, იკრავდენ თავს და  
 შოულობდენ ფულს, რომ საქ-  
 მე გაეგრძელებინათ. ავებდენ ერ-  
 თან, ვადაჰქმნათ მეორეში,  
 ავებდენ დღეს, ხვალ, ისევ  
 იწყებდენ და ასე, სანამ არ  
 გატყავდენ სულიან ხორციანად.  
 საქმე-კი მაინც თავ. დიასამიძემ  
 მოიგო და სწორედ იმ დღეს,  
 როდესაც მკვლელობა მოხდა, მის  
 შვილს ტფილისიდან უნდა მოეტანა  
 უკანასკნელი გადაწყვეტილებას ამ-  
 ბეგი. ეს შეიტყეს გლეხებმა და  
 ერთმა იმანგანმა, რომელსაც დარა-  
 დაჩინდა, არა ამ ქვეყნად, ერთს  
 თავის გარდა, სხვების დახმარებით,  
 თუ მარტომ, უთვალთვალა ბნელში  
 მომავალს თავადს, აუყარა გზაზედ  
 ხიდი და, როცა თავადი გადმოვიდა  
 მდინარეზედ იმის გასაგებად, რად  
 გაჩერდნენ ცხენები, ესროლა თოფი  
 და მოჰკლა. მოკვდა თ. დიასამიძე,  
 გაუგზავნა კატორგაში ოთხი ფეცაკი  
 გლეხი და საქმე მაინც არა ეშვე-

უკოესი მასალა მოეთავსებინა ამ  
 კრებულში და ხარჯი და შრომა იმ-  
 ისთანა ვოდვილებინათვის არ მოენ-  
 დომებინა, რომელიც ლიტერატურ-  
 რულ მხრივ არაარაობას წარმოად-  
 გენენ. „ცოლ-ქმრობის წინააღმდე-  
 გი“, „ადამ და ევა“, „დატრიალა  
 ჯარა“ კარგი სანახავია სცენაზედ  
 საღამოს დაუყობისას, ვიდრე საზოგადო-  
 ბება შეკრება თეატრის დარბაზ-  
 ში, ან საღამოს გათავებისას, როდესაც  
 ხალხი იშლება, სხვაფრივ-კი  
 ყოველ მნიშვნელობას მოკლებულნი  
 არიან და, მასწავლაძემ, დასაბეჭდად  
 უღირსნი. ჩვენს თეატრს ბევრი მო-  
 ეხოვება მწირობისთვის მნიშვნე-  
 ლოვანი, აზროვანი პიესა და ამ ვო-  
 დვილების ბეჭდვა სწორედ რომ  
 ცოდნაა, იმ დრომდე ჩინიც, ვიდრე  
 ისინი დაუბეჭდავი და მსურველთა-  
 თვის ხელ-მიუწვდენელია. ამ პიესე-  
 ბის ბეჭდვა, თქმაც არ უნდა, დრა-  
 მატურულ საზოგადოების საქმე არის  
 და თავისს წმინდა მოვალეო-  
 ბის აღსრულებას იგი არა-  
 ვის უნდა უთხოვდეს, მაგრამ... რო-  
 გორც „წ. კ. გ. საზოგადოებამ“ და  
 ორმა გამოცემელმა ამხანაგობამ  
 „ქართლის ცხოვრება“ ზ. ქუჩინაძეს  
 დააბეჭდინეს, ისე ერისთვის „სამ-  
 შობლოს“, — ეს მაგალითი მარტო  
 იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ჩვენი შე-  
 ხედულებით ეს წიგნი ძალიან გაი-  
 ყიდება და თავისს ხარჯს გამოცემის  
 პირველ ხანშივე დაჰფარავს—დიად,  
 ისე ერისთვის „სამშობლოს“ იმე-  
 დაშვილა დაბეჭდავს. სადა სცალი-  
 ან დრამატურულ საზოგადოების გამ-  
 გეობას საქმისათვის?..

„ცხოვრების საკის“ გამოცემის-  
 თვის მაღლობისა და ერთის რჩევის  
 მეტი არა გვეთქმის-რა. ჩვენი რჩევა  
 ის არის, ვამეორებთ, რომ გამოცე-  
 მელმა დასაბეჭდად მარტო ის პიესა  
 აირჩიოს, რომელიც, სათეატრო, სა-  
 ცენო ღირსებასთან ერთად ლიტერატურ-  
 ლა-რა; ბატონები ისევ თავისს  
 თხოულობენ და გლეხებაც იძულებ-  
 ულნი არიან კანონს დაემორჩილნენ.  
 ახლა ვკითხავ იმ ინტელიგენ-  
 ტებს, რომელნიც ამბობენ, გლეხის-  
 სათვის ხელ-საყრელი არ არის თა-  
 ვის დახსნა მებატონისაგანაო, არ  
 აჯობებდა ბრიგადებისთვის, რომ რაც  
 უნდა დასჯდომოდათ თავი დაეხსნათ  
 თ. დიასამიძისაგან და საქმე მკვლე-  
 ლობამდე არ მისულიყო? რა-აკვირ-  
 ველია, აჯობებდა, მაგრამ სად იყო  
 კაცო, რომ მათთვის და სხვა ქართ-  
 ლელ და კახელ გლეხებისთვის ეს  
 ჩაეგონებინა? როგორც მითხრეს,  
 ქართლში სამი თემანი ყოფილა გა-  
 რდაწყვეტილი დიურის დასახსნე-  
 ლად და ამბობენ, ეს ბევრია, მიწა  
 არ იძლევა იმდენს, რომ სარგებე-  
 ლიც-კი იხადოსო. შეიძლება, მარ-  
 თალია, მაგრამ მარტო ამ მხრივ  
 უნდა იზომებოდეს განა ეს საქმე?  
 თუ-კი რაჰველი გლეხი, მაგალითად,  
 მზად არის, აუარებელი ფული მის-  
 ცეს მებატონეს, ოღონდ თავი დაიხ-  
 სნას, რად უჭირს ქართლელ გლეხს  
 შესაძარად ასეთი მცირესასყიდელი?  
 განა რაჰველი და საზოგადოდ იმე-  
 რელი გლეხი იმით ჰზომავს თავის  
 დახსნას—ღირს თუ არა მამული იმად,  
 რასაც მებატონეს ვაძლევია და მომ-  
 ცემს თუ არა ის იმ სარგებელსო?  
 რასაკვირველია, არა. იქ გლეხს თავი-  
 სი თავისუფლება უღირს ძვირად,  
 რომ აღარავითარი დამოკიდებულება

რულ ღირსებისაც არ იყოს მოკლებუ-  
 ლი. მეორე წიგნში ბ-ნი იმედაშვილი  
 გვარძლება გუტკოვის, შილოერის,  
 ალ. დოდეს პიესებს და მათთან ერ-  
 თად ვ. გუნის ვოდვილს—„ადგი-  
 კატთან“. თუ ეს ის ვოდვილია,  
 რომელიც ცოლქმრობის შეყრა-გაყრა-  
 ზედ არის აგებული, დიდი შეცდომა  
 იქნება მისი დაბეჭდვა. თეატრი აღ-  
 მზრდელი უნდა იყოს და არა გამ-  
 ფუქსავატებელი ხალხის და საზო-  
 გადოებისა.  
 ერთი მცირე შენიშვნაც: შეიძლე-  
 ბა ვინმე, ვთქვათ დ. მესხმა, საჩქა-  
 როდ, ერთ საღამოს, სთარგმნა რამე  
 ვოდვილი, თუნდა „ადამ და ევა“  
 და გადაკითხვაც ვეღარ მოასწრო,  
 ისე შესძლნა ჩვენს თეატრს. სცე-  
 ნიდან რომ ისმის „მერე ვინ არის  
 დანაშაული“ (დამნაშავეს მაგიერად),  
 მსახიობს შევეუკუთხებთ—დალახვრა  
 ღმერთმა, ამ ჩემი ცოდვით სავსემ  
 არც ენა იცის და არც როლსა სწო-  
 ვლობსო!.. მაგრამ როდესაც ამის-  
 თანა მარგალიტებს დაბეჭდილში  
 ჰპოვებთ, არ შეიძლება არ უსაყვე-  
 ლუროთ ჯერ მთარგმნელს, და მერე  
 გამოცემელს. იმავე პიესაში მომქმე-  
 დი ჯერ ყველგან ივანია არის და  
 მერე უცხად ვანოდ იქცევა; კათხა  
 ჯერ ყველგან კათხაა, განათლებუ-  
 ლი თავადიც კი კათხად იხსენიებს  
 და თამარ-ქალი კი, უფიცი თა-  
 მარ-ქალი კი ვაზად აქცევის.  
 ლექსებში საიმისო არაფერია...  
 მშვენიერია კინტოს მონოლოგი „რო  
 მისმეფს ღვინოს“...  
 ?

**წერილი კახეთიდან**

კახელებს რჩინის გზის ღოდანში  
 სული ამოკვიდა. ხანდახან გასმარე-  
 ბული მითქმა-მოთქმა კახეთის რჩინის  
 გზის შესახებ მდუმარებად გადაჰქცე-  
 ხლამე. ორსავე შემთხვევაში იმავე არ  
 ეგარგება კახელს, ყოველს გასაფხულ-  
 აღარ ექმნება მებატონესთან და სრუ-  
 ლად გაუსწორდება, როგორც მესა-  
 კუთრე. ქართლში და კახეთში-კი,  
 ეტყობა, ამის არა ჰფიქრობს გლე-  
 ხს სრულიად და, სამწუხაროდ, ინ-  
 ტელიგენციასაც უყურადღებოდ  
 დაუგდია ეს საგანი... ამიტომაც არის,  
 რომ იმერეთის სოფელში, როცა შე-  
 დიხართ, ვეღარც-კი გამოარჩევთ,  
 რომელი სახლია ძველი მებატონისა  
 და რომელი ძველის ყმის; თუ რამე  
 განსხვავებაა, ყმის სახლი კიდე-  
 ვაც სჯობია მებატონისს თავისის  
 მოწყობილობით, ხოლო ქარ-  
 თლელი გლეხი ჯერ ისევ მი-  
 წურშია ჩამარბული. დრო კია,  
 რომ ქართლ-კახეთის გლეხობა-  
 მაც გამოიღვიძოს, იგრძნოს თავის  
 ფასი და დაადგოს თავისს მეზობელ  
 იმერეთის გლეხობის კვალს.  
 რამ წაიყვანა იმერეთის გლეხობა  
 წინ? ნუ თუ იქაური მიწა უფრო  
 მომცემია, ან ნუ თუ იქაური მეურ-  
 ნეობა გამოვიდა პირვანდელ ყოფი-  
 ღან, განშორდა მამაბაბურ წესს  
 და ახალწესზე დაეყარებულ? სუ-  
 ლაც არა. იქაური მიწა თუ უფრო  
 ნაკლები არა, უკეთესი მაინც არ  
 არის ქართლ-კახეთის მიწაზედ და  
 იქაური მეურნეობაც, თუ უფრო  
 პირვანდელი არა, უფრო ახალი სრუ-  
 ლიდაც არ არის ქართლ-კახეთის  
 მეურნეობაზედ. მაშ, საიდან იშოვა  
 იმერეთის გლეხობამ თავის დასახს-  
 ნელი ფული? საიდან და იქიდან,


ზედ მოკლეს გზის მუშაობის დაწვე-  
 ბას; და ამ ნაირად ერთის გასაფხუ-  
 დიდან მეორე გასაფხულსკად გადა-  
 აქვს თავისი იმედი. საქმე იმაშია, რომ  
 რჩინის გზაზედ დამედაბულოთ, დაკა-  
 ვიწვა ანსებული გზა და ამ დაიწყებას  
 მოჰყვა უგზობა. როგორ თუ უგზო-  
 ბაო? იგი თხოვ. დასს, დახუჯათობით  
 შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს მთელს  
 კახეთს, ე. ი. ტფილისის, თელავის  
 და სიღნაღის მაზრებს და თანეთის  
 მაზრის ერთს საუკეთესო ნაწილს არა  
 აქვს ტფილისთან შემაერთებელი გზა.  
 ამ მაზრების ტფილისისაკენ მიმავალი  
 გზები იყრება ერთად ტფილისიდან  
 27 კერსკად. ამ საერთო გზაშია  
 ყველაზე გზებს ამა უშეს-რა და რა-  
 კახეთიდან მიმავალი ამ საერთო გზას  
 ჩაახვევენ, ზღარ იცინან, საით აუქციონ  
 გზას, რომ ტფილისამდე ჩავიდნენ. თუ  
 გზას არ აუქციონ, ამ გზით ჩასვლა  
 არავითარი ღონისძიებით არ შეიძლება.  
 ეს აუცილებელია, ე. ი. თუ გინდა არ  
 დაჩნე სადმე ჩაფლული ტალახში, უკ-  
 წეადად გზას უნდა აუქციონ, უგზო-  
 უკვლად უნდა იარო, სხვა ღონე არ  
 არის. ვისაც დეკემბერსა და ამ იანვარ-  
 ში ან ტფილისიდან მომავალს, ან  
 ტფილისისაკენ მიმავალს არ გამოუცდა  
 ყოველი გაჭირვება ამ გზაზედ საბრუ-  
 ლისა, ის სხვისი ნათქვამით სრულს  
 წარმოდგენას გერ შეადგენს, რა სდება  
 ამ 24 კერსის მანძილზე: სად და-  
 ტეირთული ფურგუნია ჩაფლული, სად  
 ურუმა ჩაჩნხილა ტალახში, აქ შეფურ-  
 გუნეს გამოუშვია ცხენები, დაუნულაეს  
 და ზღარ იცინს, რა უფეს; იქ  
 მეურმეს შემოჰქვამს საგზაოდ წამო-  
 დებული საქონლის საჭმელი და ღვთის  
 გმობადის მიუყვანა გაჭირვებას, მო-  
 უღლად ექვს ვარაზს; აქვე საიდგანდაც  
 უშოკანა მეფურგუნეს ნიხაბი, სცდა-  
 ლასს თელავის წინ გადასწმინდას  
 ხელშივე ახედალი ტალახი, რომ რო-  
 გორმე ფურგუნე გზიდან აქით გადა-  
 გორას; აქვე მეორე ადგილას ათი  
 ფურგუნეა შემდგარი, ყველანი დასუფიან

დადროის კეტებით ფურგუნეს ტელავის  
 და შეკლავს ტალახს—უწყვეტს  
 სოკან დაინახეთ, რომ რვა ცხენი მო-  
 უბამთ ფურგუნისათვის, გასმის უშე-  
 ლებელი ყაბა-ყუბი შოლტებისა და უი-  
 რილი, მაგრამ ფურგუნის თელავი კერ  
 დაუძახეთ და სს. ყველა ამას გინდა  
 თვალთ მოარდო, მაგრამ სად წაუყვალ?  
 თათოყულის კერის მანძილზე რამ-  
 დენიმე შემთხვევაა ამისთანა.  
 ტფილისიდან შენს გუნებაში: რამ  
 წახსდინა ასე გზაზე და მიწეზია, რომ  
 მთელი ეს საერთო გზა კახეთისას ასე  
 გაუფალი გამხდარა? კვლავც ყოფილა  
 ადგილ-ადგილ გზა გაფუჭებული, მაგ-  
 რამ აგრეთ ნაირად მთელს 24 კერ-  
 სიყვად-კი არა ყოფილა ასე წამხდარი.  
 მაშ, როგორ მოხდა ეს? ამბობ, თან  
 გაჭურვებ მტკერის სეობას და შიქს  
 დაინახე კვამლს, გააჩნე შავს გიგელ-  
 ვეშას, რომელიც მოიგვანება ყარაბის  
 მინდურებზედ, გაიფლის საათი თუ რა-  
 ტა პეტო, დაინახე მეორე გველეშაპსა,  
 მესამეს და სს. უნებლიედ ტუბადაც  
 აზრი, რომ იქნება ყველა შენგან ნახუ-  
 ლი გაჭირვების მიზეზი ეს შავი გველე-  
 შაპია, იქნება რჩინის გზის იქედმა  
 დაგვარეწვა ანსებულის გზის დროზედ  
 შეკეთება.  
 „ყოფილათ ერთი მეფურგული ავლ-  
 და და ასეც შეუერთესო“. სწორედ  
 ასეა კახელების საქმეც. ერთადერთი  
 მისაკვლი კახეთისა—ღვინო ჩაღის ფა-  
 სად გახდა, ახლა გზის შეკვრათ და  
 ეს ჩაღის ფასიც შედიგან წაგვავს!..  
 ნაღვიკრელი

**რუსეთი**

უმართებელესმა სენატმა განმარტა  
 რომ ქალაქის თვით-მმართველობას  
 უფლება არა აქვს დაუშლოს მამუ-  
 ლის პატრონებს თავისს მამულზედ  
 სახლები აავონ იმ მიზეზით, რომ  
 თქვენი ადგილი ქუჩის გასაგანიერე-  
 ბლად არის დანიშნულიო, შეუძლი-  
 ტო მებატონის სახლი უნახავს ამ  
 გვარი და იქ-კი მთელი სოფელი  
 იყო ასეთი. როგორ შესძლო რა-  
 ქველმა გლეხმა, რომ მთავრობის  
 დაუხმარებლად თავსაც იხსნის მება-  
 ტონისაგან, უზომო ფულს აძლევს  
 მას, რომ საკომლო შესყიდოს და  
 თან იმისთანა ოდენსაც სჭიმავს,  
 რომ ქალაქის სახლებს არ ჩამოუყარ-  
 დება? როგორ და თავისს გარჯა-  
 შრომით. გათავდება თუ არა შემო-  
 დგომა და შეინახავს რაჰველი ქირ-  
 ნახულს, იღებს თავისს ხელსაწყო  
 იარაღს და მიდის ფულის საშოვრად  
 ქუთაისში, ტფილისში და სხვაგან.  
 ზოგი ხურთა, ზოგი მხერხავი, ზოგი  
 უბრალო მუშა და მთელის ზამთრის  
 განმავლობაში შოულობს ფულს.  
 სალდგომოდ, ან ცოტა უფრო გვი-  
 ან, ბრუნდება შინ, თუ სულ არ  
 არის გარედ გასული, და იწყებს  
 მიწის მუშაობას. მუშაობს მთელს  
 ზაფხულს, ინახავს შემოდგომაზედ  
 ქირანახულს და ისევ ადგება გზას.  
 მარტო მეურნეობას რომ მისწერე-  
 ბოდა რაჰველი გლეხი, სიმშლით  
 მოკვდებოდა, არამც თუ ქართლელი  
 და კახელ გლეხისათვის დაღარბდე-  
 ბოდა!.. მგონია, რომ კმარა, რაც  
 ვთქვი, თუ გამგონია ვინმე, და თუ  
 არა, მთელი ტომებიც რომ დაიწე-  
 როს, არა გამოვა რა...  
 დღემ მეგრული





ანთ მხოლოდ დადგენილის წესით შუამდგომლობა აღძრან, რომ ქუჩის გასაფანტებლად საჭირო ადგილი შესყიდულ იქნას ქალაქის მიერ.

— 1873 წ. ფოსტათა რეინის გზით გადაზიდვის დროებით წესების მე-16 მუხ. დადგენილი იყო, რომ ვინც რეინის გზის რომელსამე სადგურზედ კერძო წერილსა და ბანდეროლიანს ამანათს მიიღებდა, 3 კაპ. უნდა გარდაეხადნა რეინის გზის სადგურების აგენტების სასარგებლოდ, ამ ქამად ფოსტა-ტელეგრაფთა მთავარ-სამმართველომ აღძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს გარდასხადი გაუქმებულ იქნას სრულიად, ან შემცირებულ, რადგან იგი მიიძღვრებოდა აწვევს მკვიდრთ, მით უმეტეს, რომ რეინის გზების უმეტესი ნაწილი ამ ქამად ხაზინის საკუთრებას შეაღვეს.

— სახელმწიფო ბანკმა განმარტა, რომ თამასუქედ ხელის მომწერლებმა თუ თამასუქს ისეთს ქალაქზედ აძლევდნენ, რომელზედაც წელიწადი აღნიშნული „18...“ და რიცხვი „8“ 9-ად გადასწორეს, ეს გადასწორება, უნდა უქვეყნოდ აღნიშნონ თამასუქს ბოლოში.

### უცხოეთი

#### ინგლის - ბრანსვალის ომი.

უორენის ჯარის დამარცხების შემდეგ, ზოგჯერ ინგლისური გაზეთები ამტკიცებენ, რომ ბულგარს ვერ შეაძლებს ეს გაკრეპება და იმას შეუძლიან ლედი-სმიტს შეარტყოს მისი მისიონერული სპიანისკამბაჯანი, რომ ინგლისის მხედრობა მრავალჯერ დამარცხების გამო თუმცა ძლიერ დაღრმავდა, მაგრამ სასაწყალოდ აქვს უგანასკნელი ძალა მთავრად, რათა გაარდევოს ბურების ჯარი. ეს სიტუაცია გამართლდა, როგორც გუშინდელ დეპუტატებმა ვიცით, ბულგარმა ხელმძღვანელმა გაიყარა ჯარები მდ. ტუბელში სამს ადგილას და ბურების სიმაგრეებს შიდაგა კრინტ-კლოფთან. დეპუტატს სიტუაციით, ბრანსვალის ჯარს დაუმარცხებია ბურები ამ ადგილას, მაგრამ რადგან ბრძოლა ჯერ არ გათავიშულა, გამარჯვება ვის დასწება ამ შემთხვევაში, ჩვენ ვამარტყვით. ესაა კომპრომისი, რომელიც გამართლდა, რომ განთავსდეს, ბრძოლა ამით მანაც არ დასრულდება, რადგან ინგლისის მარცხებში ყველანი იმის დასრულებენ, რომ ბრძოლის კელი გადატანილ იქნას ტრანსკაპალი და იმის მანამდე არ შესწყდეს, სანამ ორივე რესპუბლიკა (ტრანსკაპალი და ორანჟი) ინგლისის წინაშე ქედს არ მოახრახან.

— ნემეტურ გაზეთების სიტუაციით, ტრანსკაპალის კლასი—დაქტორი ლედი-სი შეტრფურგში ამარტყვს წესებს, სადაც ის ტრანსკაპალის წარმომადგენლად ითვლება, ასე როგორც კერძოების სხვა სატაქტო ქადაგებში. როგორც ჰეიქრებენ, ლედი-სი იმით მოახრახან და ბერლინი და შეტრფურგშია იმით მოიღოს, რომ დედაგანს ნათესავად შესახებ ამ სახელმწიფოების ახრი გაიგოს, რად-

გან ყოველ დღე თანდათან უფრო გრძელდება ხმა, რომ ინგლისს გადაწყვიტაო. გაზეთების ახრით, ინგლისის ასეთი დტოლოვილება უთუოდ იმულებულ ჰყოფს სხვა სახელმწიფოებს საქმეში ჩაყრის.

### დამატება

ზრდილება ადამიანის სასიათის სახეობა სამკურნალო.

აქამდე საუკეთესო საშუალება, რომ დედაგანს სათხოვს დაიცავს, სიმანს-ჟა.

გლები რადი გლებია, თუ არადა არს გლები და გლები?

### უჩრატ-გაზეთების დან-

გუშინდელს ნომერში რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ იმისა, თუ რა ჰქუასა და მიხედროლობას იჩენენ ცხოველები. ასეთი მაგალითები მრავალი მოპყავს მკურნალს მ. ნ. პარკამის ამას წინადაც გამომცემელ წიგნი: „Сознательность, любовь и семейная жизнь животных“. აი კიდევ რამდენიმე ასეთი მაგალითი:

გვადელუზის მახლობლად ერთს პატარა კუნძულზედ რაზმი იდგა. ცალკე შენობაში მოთავსებული იყო სასადილო და სამზარეულო ჯარის-კაცები. ამ სამზარეულოში ერთს კალათაში კვერცხები ეწყო. ერთ დღეს მზარეულს უნახავს, რომ კვერცხები ცარიელი იყო, უდაცვალ დაგვირტა კვერცხები და გული გამოეფრიატა. იქვე სამზარეულოში ერთი ზანგი მსახურებდა; რასაკვირველია, ქურდობა ამ ზანგს ვადაბრალეს და შესაფერად დასაჯეს. მეორე დღესაც ესევე ამბავი მოხდა. ბოლოს უდარაჯეს და ქურდი აღმოაჩინეს. აღმოჩნდა, რომ ქურდი მიიძინო ყოფილა. ეს მიიძინო კვერცხებს იპარავდა, ფრხილით ერთ ადგილას ჰგერტავდა, სწუწინდა იქიდან გულს და შემდეგ ნაჭუქს წინანდელს ადგილზედ სდებდა.

უფრო საოცარ ჰქუასა და მიხედროლობას იჩენდა მეორე მიიძინო, რომელსაც სახელად „ელის“ ეხანდნენ და რომელიც ამას წინადაც მანჩესტერის ზოლოდოიურ ბაღში მოკვდა. ეს მიიძინო წინადაც ინგლისის ერთ საფურთხ სადგურში სტოვრობდა საშუალო აფრიკაში. 1893 წელს „ელი“ გამებრეში მიიყვანეს. აქ მან პირველად მიიქცია ყველას ყურადღება იმით, რომ ხან ლურსმის, ხან მავთულის შემწვობით მოხერხებულად აღებდა ხოლმე თავის სახელამის კარებზედ კლტებს. შემდეგ „ელი“ ბაღში გაუშვეს და საუბრი თავისუფლება მიანიჭეს. სერთუკა, უილტბა, წადებსა და შლიაპაში გამოწყობილი, ტროსტიხელში „ელი“ ყოველდღე ბაღში დასეირნობდა და ყველას ყურადღებას იქცევდა; დანიშნულ საათს სადილად და ვახშმად მიდიოდა; უსაფრტოდ და უდანა-ჩანგლოდ არასოდეს სადილს არ გახზობობდა. ყავასა, ჩაისა და ღვინოსაც ყოველთვის თვითონ იხამდა. საზოგადოდ როგორც ნამდვილი ჯენტლმენი“ ისე იქცეოდა. ეს მიიძინო კონცერტებზედაც ხშირად დადიოდა და დიდის გულ-მოღვინებით ყურს უგდებდა მუსიკას.

კენტუში ერთმა მასწავლებელმა მიიძინოს ფორტეპიანოს დაკრა ასწავლა. მტრად საციერლ სურათს წარმოადგენდა თურმე, როდესაც ეს მიიძინო მუხიკანტუბას იწყობდა. დიდად მიუღობდა ხოლმე ფორტეპიანოსთან, სკამს დაიდებდა, კუდილი ნოტებს გადაშლიდა და დაუწყებდა კლავისებს ბრაბა-ბრუხს.

ერთ გემზედ ძალი და ღორი სტოვრობდა, ამ ცხოველებს ისეთი კარგი განწყობილება ჰქონდათ, რომ მუდამ ერთად ატარებდნენ დროს და ერთ ჯამში მიირობდნენ საჭმელს. მხოლოდ ერთი რამ უშ-

ლიდა მეგობრებს: ღამის სათვეში ერთს ადგილი იყო, მეგობრებს ერთად არ შეეძლოთ ღამის გათვევა, ამიტომ ვინც წინ და წინ მოასწრებდა, ისა რჩებოდა იქ. ერთხელ სადამოთი, როდესაც საშინელი დღედა ასტყდა და გემი საცურად ქანობდა, ასე რომ გემის ბანზედ გაჩერება ძნელი იყო, ღორი ბანიდან ღამის სათვეში გაქანებულა, მაგრამ ძალი კი დახვედროდა იქ. ბევრი ვმუდარა ღორი თვალებითა, დინგის ქნვეით და ღრუტუნით მეგობარს, ადგილი დამითმეო, მაგრამ მეგობარი ყურსაც არ იხერტყავდა და არხეინად იწვა. მაშინ ღორს ხეხისთვის მიუძარტავს. იქვე ახლი დიდი ჯამი იდგა თურმე, რომლითაც მეგობრებს საჭმელს აძლევდნენ. ღორი განარებულ მივარდნა ჯამს, ჩაუყვია შით დინგი და სიამოვნებით ჰაპა-ჰუბი დაუწყებდა, ვითომ საჭმელს გიანტობდა; ძალიდა უყურა, უყურა თურმე, გულმა აღარ მოუთმინა, წამოხტარა და ჯამისაკენ გაქანებულა, მაგრამ ამ დროს ღორს ჯამისათვის თავი მიუწყებებია და ღამის სათვეში არხეინად წამოწოლილა. ძალს ერთი კი შეუხვნენია საყვედურის თვლით ღორისთვის და ლასლასით ბანზედ წასულა.

### გამოსაღები ცნობა

ბურებისა, ბაღდადელებისა და თაგების სახეობებისად და 2 1/2 გარკანქა შაბი და სამს ტოლს ადულებულს წყაღში გასწენით, გადასხით ეს სითხე ამ ადგილებს, სადაც ბურია, ბაღდადელები, ან თაგები გეგულებათ. ახრკრთა, არც მერე და არც მესამე იქაურბას აჯან მიეკარება.

### დებემა

(რუსეთის დებემა სააგენტოსგან) 28 იანვარი.

პეტიტორები. 27 იანვარს მათ უდიდებულესობათ ზაბორის სასახლეში ბალი ჰქონდათ გამართული. 28 იანვარს, ღვთივ განსვენებულის იპერატორის პეტრე I-ის გარდაცვალებიდან 175 წლის შესრულების გამო, გარდახდილი იქნა პეტრე-პავლეს ტაძარში წირვა და პანაშვიდი.

ლონდონი სპირმანიდან მიღებული რამდენიმე დებემა იწყებდა, რომ ბრძოლაში ბურებს შეიარაღებული კაფრებიცა ჰშველოდნენო. ამ კაფრებმა ერთი ინგლისელი აფრიკრი დასტრესო.

გუშინდელს გაზეთებში დაბეჭდილი სტერესტრომის ბანაკიდან მიღებული დებემა, რომელიც იწყებდა, რომ ინგლისელთა დარაჯნი, რიცხვით შეიდი კაცი, გუშინ დილით ბურებმა ტყვედ წაიყვანესო.

ქალკუბა. ინგლისის ჯარის მთავარ სარდალი უილიამ ლოკარტი საშიშოდ გახდა ავად.

მოღვერა-ნიშნის. გუშინ მეფედღეს მაკლონადლი ბურებს იყვინებდა, ინგლისელთ 50 კაცი დაპარგეს.

ლონდონი „Daily Mail“ სკონკიდან დებემათ ატყობინებენ, რომ სეატაუში ამბოხებიაო. ადგილობრივ მოხელეებს არ ძალუთ მებამოხებთან ბრძოლა, ამიტომ ვიცე კონსულმა სეატაუში ჯარი გაგზავნა, აგრეთვე მოხელენი მებამოხეთა დასაჯელად.

„Standard“-ს დებემაშიდან დ-

პეშით ატყობინებენ, რომ აქ მიღებული ცნობებით, ნონდენში ზულუსთა მიწის საზღვარზედ, ბურები დიდს მეცადინეობას იჩენენ; ამის გამო თავისუფალ მცობართა რაზმი იქნა იქ გაგზავნილი, რათა ხელი შეუშალოს მტრის წინ-მსვლელობას.

28 იანვარი

პეტიტორები. გამოცხადებულია შემდეგი უმაღლესი ბრძანება: უკანასკნელ ვადად 25 მ., 10 მ. და 100 მან, გამოსაცვლელად, რომელიც 1868 წლის 13 თებერვლის უმაღლესი ბრძანების თანახმად გამოიცა, დანიშნულია 1901 წლის 31 დეკემბერი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. უინდგემა სტევა, რომ ომის დაწყებიდან 2,283 აფრიკერი და სალდათია დაკარგული, რომელთა შესახებ არა იციან რაო, ხოლო რამდენი კაცი იმყოფება ტყვედ პეტრორიაში, მთავრობამ არ იცისო. თავის სიტყვაში მან განაცხადა, რომ სამი კვირის განმავლობაში საზრეთ აფრიკაში 180.000 კაცი გვეყოლებოა; მანამდისინ გარდაწყვეტილია გაგზავნოს კიდევ 17 მაშალიონი მილიცია და 3000 კაცი, რის გამო ჯარის საზოგადო რიცხვი შეადგენს 194,000 კაცსო. ბროდრიკმა განაცხადა, როგ გერმანიის გემი „ჰეტროვი“ განთავისუფლებულ იქნაო.

პეტიტორები. გუშინ ბრძანება გამოიცა, რომ სახელმწიფო სამსახურში შემსვლელთა გამოსაცვლელად აღდგენილ უნდა იქნას ძველი საგნები კონფუციის მოძღვრების თანხმად; შემდეგ დადებულა სასჯელი ახალ მოძღვრებისათვის. ეს ბრძანება მიანიშნავს აშკარად მტრობის გამოცხადების ნიშნად დასაუფეთის მეცნიერების წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი. ცნობილი მოთამაშე შახმატისა სტენიცი გაგზავნილი იქნა სულთი ავადმსოფთა სახლში.

სოფია. ღუნაის ახლი მახლო მდებარე ადგილებში, სისტოვოსა და ნიკოპოლისის შუა, მრავალს სოფლებში წყალი გადავიდა.

ნიუი. სკუბ შინამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც შემოსავალი მეტობს ერთ მახევარ მილიონით.

ლონდონი. „Times“-ს დებემათ ატყობინებენ სპირმანის ქვემო ბანაკიდან, რომ ბურების ბინა მთის წვეროებზე ძლიერ იყო გამაგრებული და სპიონსკობიდან სამი მილი მანძილი ეჭირა აღმოსავლეთის მხრივო. მოსატყუილებელი იყრიში მიიტანა უიპნის ბრიგადამ, რომელსაც მხარს უჭერდა ხუთი ბატარეა. ამით ზარბაზნები დაუშინა მტრმა. უმთავრესი იყრიში მიიტანა მტრის მარჯვენა მხარეზე ლიტლტონის ბრიგადამ; ამან გადავლო ტყველი სახელდახელი ხიდის საშუალებით და მისია სერს რომელიც სამხრეთის დასაღიერს მდებარეობს. ბურებმა დაამწყრიეს ზარბაზნები დოორ-კლოფზე და ყუმბარები დაუშინეს ინგლისის ჯარებს რითაც ხელი შეუშალოს წინ წასუ-

ლიყენენ. ინგლისელთა შტაბი აქ იმ ადგილას, სადა გუშინ იდგნენ და წინ აღარ წასულან. ბურებს შორს ისროდნენ ყუმბარებს. ნაშუადღევს მტერი დიდს თავგანწირულებით ჩრდილოეთის მხრივ თავდაესხა ინგლისელთა სერზე რომელიც ლიტლტონს ჰქონდა გამაგრებული; პირველად გიმიარჯვებდა მაგრამ როცა ინგლისელებს მათგან ჯარი მიემატა სიმაგრე ისევ გატულ იქნა შტიკებით.

პეტიტორები. იმპერიის სეიმი შეუდგა ფლოტის შესახებ პროექტის პირველად წაითხვას. სტატს სეკრეტარმა ტირატიკმა სტევა: „უკანასკნელ ორი წლის გარებობამ ისე დაამტკიცა საქიროება ფლოტის გაძლიერებისა, რომ ეს გერმანიის საზოგადოებამ შეიგნო. ანგარიშის დროს ქვეყანას მხედველობაში უნდა ჰყავდეს ძლიერი საშიში მტერი. კომისიამ კიდევ უნდა მოიფიქროს, საქმარისი იქნება, თუ არა, ფლოტის გაორკეცება, ამით უზრუნველყოფილი ვიქნებით ანუ რამდენიმეთ მარც შემცირდება შიში, თუ არა. მთავრობა გამსკეპალულია იმ მოსაზრებით, რომ საქირო არის ფლოტის გაძლიერებოა, და მეტი მოცდა აღარ შეეძლო“. შედღერბს (ცენტრი) ერთი მეორის წინააღმდეგე აზრი აღნიშნა მთავრობის წინადადებაში 1898 წელს და ამ ქამად „სტატს სეკრეტარი თავის თავს უარსა ჰყოფს, როცა ასეთი პროექტი წარმოადგინა. მთავრობის მხრივ ასე უცებ აზრის გამოცვლის გამო ცენტრი იძულებულია დიდს უნდობლობათ შეშხედოს პროექტს. დასითხოვლობს დაწვრილებით დასაბუთებას, სანამ საბოლოოდ გარდასწყვეტდეს რამეს. კანონ-პროექტის ამ რიგად მიღება შეუძლებელია. ცენტრს არ ეშინიან სეიმის დათხოვისა“. ლევეცოვმა სტევა, რომ კონსერვატორები მეგობრულის თვლით უტყვიან პროექტსო. სოცი-ალ-დემოკრატმა—ფროიზმა არ მოიწონა პროქტი. ბასერმანი პროექტის სასარგებლოდ ლაპარაკობს გაზეთ „Notional Liberal“-ში. გილპერტი ბავარიის გლეხთა კავშირის მინდობილობით თანხმად მიიღოს პროექტი, თუ საქმარისად იქნება იგი დასაბუთებული და ტვირთად დააწვება მძლავრს ბეჭებს.

### განცხადება



(50-267-3)